*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 7

## შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

24.02.2025

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 2000002120 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაგდა მემანიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Mass Communication and Public Relation |
| უმაღლესი განათლების საფეხური | განათლების მეორე საფეხური, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 7 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მასობრივი კომუნიკაცია 0321 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | N/A |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული 19.08.2016 №109 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | N/A |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამამ - მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, აკრედიტაცია გაიარა 2016 წლის 19 აგვისტოს (გადაწყვეტილება#109). 2024 წლის 19 ნოემბერს უსდ-მ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა პროგრამის ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე გადაყვანის შესახებ თვითშეფასება და შესაბამისი დოკუმენტაციის პაკეტი.

კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოზე გადაყვანის შემდეგ პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი) შეიცვალა და გახდა - მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი. კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს (ISCED – F – 2013)-ის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია მოქცეულია "ჟურნალისტიკისა და რეპორტიორობის " დეტალური სფეროს ქოლგის ქვეშ.

კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოზე გადაყვანის პროცესში შეიცვლა საგანამანთლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, აგრეთვე ცვლილება განიცადა პროგრამის სტრუქტურამაც, გაიზარდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "სრული პროგრამული კურსი გათვლილია ორ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური შეფასების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი შეფასების მომზადება-ჩაბარებას. პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 120 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ფორმებს, კომპონენტებსა და კრიტერიუმებს." პროგრამის დასკვნითი ნაწილია სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, რასაც მინიჭებული აქვს 20 კრედიტი.

აღსანიშნია, რომ არ შეცვლილა საგანმანათლებლო პროგრამის სათაური.

პროგრამაში ჩართულია 18 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალიდან აფილირებულია -17. დარგთან შესაბამისობაში მყოფი აკადემიური პერონალის უმრავლესობა შერჩეულია პროფესიული ნიშნით. დარგთან შესაბამისობაში მყოფი პერსონლიდან დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვს 3-ს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოზე გადაყვანის მიზნით მომზადებული თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა 2024 წლის 23 დეკემბერს. ექსპერტებმა პროგრამის შესწავლასა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

იმუშავეს პროგრამის შეფასებაზე. შეფასებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის სტანდარტები -1, 2 და 4.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თავდაპირველად აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტში ექსპერტებმა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებიდან მეტწილად შესაბამისად შეაფასეს პირველ სტანდარტთან მიმართებაში, ხოლო სრულად შესაბამისად შეფასდა მე-2 და მე-4 სტანდარტთან შესაბამისობაში. პროექტშივე ექსპერტებმა გასცეს სამი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ქვესტანდარტ 1.1-ს, ანუ პროგრამის მიზნებს და ქვესტანდარტ 1.4-ს, ანუ პროგრამის სტრუქტურას.

12 თებერვალს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიწერა არგუმენტირებული პასუხი, რომელშიც განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა რეკომენდაციებს. ექსპერტებმა სამივე რეკომენდაციასთან დაკავშირებით გაიზიარეს დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი, თუმცა ჩამოაყალიბეს დამატებითი რეკომენდაცია.

უნივერსიტეტიის ვებგვერდის შესწავლისას ექსპერტებმა დამატებით აღმოაჩინეს, რომ ვებგვერდზე კვლავაც იძებნება მოძველებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამას მიწერილი აქვს, რომ მას გააჩნია საფრანგეთში სწავლის გაგრძელებისა და ორმაგი დიპლომის აღების შესაძლებლობა. იხ. ბმული - https://www.gruni.edu.ge/menu_content/index/399 (ბოლო შესვლა 2025 წლის 24 თებერვალი)

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პარიზის ჟურნალიზმის სკოლასთან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა 2021 წელს პანდემიის გამო შეწყდა.

მოძიებული გარემოებების შემდეგ ექსპერტებმა შეიმუშავეს ახალი რეკომენდაცია

- რეკომენდებულია, რომ მოძველებული ინფორმაცია, რომელიც სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებულ პირებს პარიზის ჟურნალიზმის სკოლასთან ერთობლივი დიპლომის მიღების შესაძლებლობის შესახებ ატყობინებს, აღებულ იქნას უსდ-ს ვებგვერდიდან, რათა არ მოხდეს პროგრამით დაინტერესებული პირების შეცდომაში შეყვანა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზისას ექსპერტებმა გამოთქვეს რჩევა, რომლის თანახმადაც ურიგო არ იქნებოდა, თუკი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს დაემატებოდა ერთი ისეთი შედეგი, რომელშიც აქცენტირებულია, რომ პროგრამის კურსდამთავრებული ქმნის და ავრცელებს მედიაპროდუქტს. ტერმინ “მედიაპროდუქტში” იგულისხმება ამბავი, ანუ შინაარსის მქონე როგორც ჟურნალისტურ პროდუქტი (სტატია, რეპორტაჟი, ფოტო, აუდიო-ვიზუალური, მულტიმედიური), ისე PR პროდუქტი - პრეს-რელიზი, რეკლამა, ე.წ. ქარდი ასევე ნებისმიერი მასალა, რომელიც შექმნილია, როგორც მედიაპროდუქტი და მიზნად ისახავს აუდიტორიაში ინფორმაციის/ამბის (აღმწერის მიხედვით შინაარსის, ანუ კონტენტის) გავრცელებას. აღნიშნული რჩევა გამოწვეულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკით. კერძოდ, კვალიფიკაცია - „მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი“ - სწავლის სფეროების კლასიფიკატორის აღმწერის მიხედვით

გულისხმობს, რომ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი "შეისწავლის ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას საქმე აქვს ტექსტის ფორმულირებასა და ინფორმაციის (ამბის) შინაარსთან".

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ქვესტადარტთან (1.3.) მიმართებაში ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ სწავლის შედეგების ანალიზისას სამიზნე ნიშნულზე ბევრად მაღალი შედეგი დადგა, რის გამოც გაიცა რჩევა, რომლის თანახმადაც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ამ კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, შესაძლოა, იფიქროს სამიზნე ნიშნულების ამაღლებაზე.

ქვესტანდარტ 2.4-თან პროგრამის შესაბამისობის ანალიზისას ექსპერტებმა დაადგინეს სტანდარტთან სრული შესაბამისობა, თუმცა ჩამოაყალიბეს რჩევა, რომლის თანახმადაც სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში რეცენზენტის ( დარგის გარე, ან შიდა ექსპერტის) ჩართვა, შესაძლოა, უკეთესი იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესისათვის.

დაბოლოს, მე-4 სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობის ანალიზისას ექსპერტებმა გასცეს რჩევა, რომლის მიხედვითაც სასურველია, რომ უსდ-მ აღნიშნული საგანამანათლებლო პროგრამა გააძლიეროს ისეთი აკადემიური პერსონალით, რომლებიც ფლობენ დარგში დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

- ➢ სასურველია, რომ სწავლის შედეგების "უნარების" ჯგუფს დაემატოს სწავლის კიდევ ერთი შედეგი, რომლის თანახმადაც სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ქმნის მედიაპროდუქტს, გადმოსცემს ამბავს და წარმართავს ამბის თხრობის, აგრეთვე ამბის მასობრივ აუდიტორიაზე გავრცელების პროცესს. აღნიშნული რჩევის გათვალისწინების შემთხვევაში პროგრამის მესვეურებს მოუწევთ, რომ სწავლის ძირითადი სფეროს საგნებს დაამატონ ისეთი სავალდებულო საგანი, რომელიც მიზნად ისახავს ამბის თხრობის სწავლებას, მაგალითად საგანი "ამბის თხრობა", ან "ციფრული თხრობა";
- ➢ სწავლის შედეგებზე დაკვირვებისა და გაზომვის შედეგად მაღალი მაჩვენებლების გამოვლენის შემდეგ, შესაძლოა, უმჯობესი იყოს ამაღლდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები;
- ➢ სასურველია ნაშრომის შეფასების პროცესში დარგის გარე, ან შიდა ექსპერტის ე.წ. რეცენზენტის ჩართვა;
- ➢ სასურველია, რომ დაწესებულებამ იზრუნოს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვასა და რაოდენობის გაზრდაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა დასკვნის პირველ ვერსიაში (პროექტში) გაცემული იყო სამი რეკომენდაცია:

➢ გამომდინარე იქიდან, რომ კლასიფიკატორი ერთმანეთისგან განასხვავებს საზოგადოებასთან ურთიერთობას და მასობრივ კომუნიკაციას, თანაც სამაგისტრო პროგრამა ანიჭებს „მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის" აკადემიურ ხარისხს, რეკომენდებულია, რომ საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება იყოს „მასობრივი კომუნიკაცია" ნაცვლად „მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობისა".

➢ რეკომენდებულია, რომ ახალ ჩარჩოზე გადასული პროგრამა, რომელშიც ასახულია პროგრამის განახლებული მიზნები და სწავლის შედეგები, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

➢ პროგრამის სტრუქტურაში საგნების ჯგუფების სათაურები უნდა დაკორექტირდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. უნდა არსებობდეს საგანთა ორი ჯგუფი - 1.სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო საგნები 2.სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი საგნები. ასევე, პროგრამას უნდა ჰქონდეს საგანთა ჯგუფი ე.წ. თავისუფალი კომპონენტის სახელწოდებით, რომელშიც შევა როგორც სავალდებულო, ისე - არჩევითი საგნები.

**არგუმენტირებულ პასუხში პირველ რეკომენდაციასთან** დაკავშირებით უსდ-ს წარმოამდგენლებმა აღნიშნეს, რომ „ზოგადად, პროგრამის სახელწოდება მხოლოდ კლასიფიკატორთან შესაბამისობის საკითხი არ არის, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მერკეტინგულ სტრატეგიაში. სახელწოდება - „მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა" - უკეთ ასახავს პრგორამის შინაარსს, მრავალფეროვნებას და მიზნობრივ აუდიტორიას. იგი ზრდის პროგრამის მიმართ ინტერესს, მოიზიდავს ფართო სპექტრის აბიტურიენტებს და ქმნის მკაფიო წარმოდგენას სამომავლო კარიერულ პერსპექტივებზე". ამასთან უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნული იყო სხვა არგუმენტიც: „მიუხედავად იმისა, რომ კლასიფიკატორი ერთმანეთისგან გამოყოფს მასობრივ კომუნიკაციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, პროგრამის სახელწოდება არსებითად არ ეწინააღმდეგება ამ სტანდარტებს. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სრულად აკმაყოფილებს მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნებს, ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტის დამატება ხაზს უსვამს პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს". უსდ-ს კიდევ ერთი არგუმენტი მულტიდისციპლინურობის მიდგომის მხარდაჭერას ეხებოდა, თუმცა, ექსპერტებმა მხოლოდ ეს ორი არგუმენტიც საფუძვლიანად მიიჩნიეს და შესაბამისად, პირველი დასკვნის პროექტში გაცემული რეკომენდაცია მოიხსნა.

**მეორე რეკომენდაციის შესახებ არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნული** იყო შემდეგი: „უნივერსიტეტის ვებგ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების რეკიზიტების, მიზნების, სწავლის შედეგების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ცოდნის შეფასების სისტემის, პროგრამის სტრუქტურისა და კვალიფიკაციის შესახებ. კატალოგი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ცვლილების შემთხვევაში ხდება მისი განახლება.

https://www.gruni.edu.ge/footer_content/index/232/1442825820 “.

ექსპერტებმა გადაამოწმეს აღნიშნული ბმული და დარწმუნდნენ, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთულია საგანამანთლებლო პროგრამების კატალოგები, რომელშიც იძებნება ინფორმაცია განახლებული სამაგისტრო პროგრამის - კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა - შესახებ. თუმცა, უნივერსიტეტის ვებვგერდის კვლევისას ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ ახალ ჩარჩოზე გადასული სამაგისტრო პროგრამის შესახებ შემორჩენილია მოძველებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სამაგისტრო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სტუდენტებს ექნებათ საფრანგეთში სწავლის გაგრძელებისა და ორმაგი დიპლომის აღების შესაძლებლობა. შესაბამისად, ექსპერტებმა შეიმუშავეს ახალი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული ინფორმაცია უნდა აღებულ იქნას ვებგვერდიდან.

**მესამე რეკომენდაციის შესახებ უსდ-ს არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნული იყო, რომ** „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით (მე-6 მუხლი), დადგენილია მხოლოდ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პრგორამებისთვის, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს - „უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **შესაძლებელია** აგებული იყოს შემდეგი პრინციპით...“ ამდენად, პროგრამების სტრუქტურაში საგნების ჯგუფის სათაურების ჩამოყალიბებაში უნივერსიტეტი შეზღუდული არ არის, განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურის შემთხვევაში. თუმცა, თუ ექსპერტები აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას საჭიროდ ჩათვლიან, უნივერსიტეტი განახორციელებს პროგრამის სტრუქტურაში საგნობრივი ჯგუფების სათაურების შეცვლას“.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია და გააუქმა მესამე რეკომენდაცია. მცირე განმარტების სახით აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ თვითშეფასების ანგარიშში სავალდებულოდ გასავლელი საგნების ჯგუფის სათაურად მითითებული იყო **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები,** რის გამოც გაჩნდა განცდა, რომ ახალ ჩარჩოზე გადაყვანის შემდეგ პროგრამის სტრუქტურაში საგნების ჯგუფებს დასათაურება შეცვლილი იყო სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გაცემული რეკომენდაციის მიხედვით. ის გარემოება, რომ მატრიცაში საგნების ჯგუფების სათაურები არ ემთხვეოდა თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ საგანათა ჯგუფის სათაურებს, ექსპერტებმა გამოსასწორებელ ფაქტორად აღიქვეს და ამიტომ გასცეს აღნიშნული რეკომენდაცია. თუმცა, უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ აღნიშნული რეკომენდაცია გაუქმებულია.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამას - მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებრივი ურთიერთობა - გააჩნია მკაფიო და ლოგიკური მიზნები. კერძოდ, პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მასობრივი კომუნიკაციის ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს "საზოგადოების, მედიასაშუალებებისა და მედიაპროდუქტების მრავალფეროვნებაში სწორ ორიენტაციას, რთულ და სწრაფად ცვალებად გარემოში ეფექტიანი პროფესიული სტრატეგიების განსაზღვრას", პროგრამის დასრულების შემდეგ კურსადმთავრებულს ეცოდინება "საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიის ცალკეული მიმართულების (ტრადიციული და ციფრული მედიაპლატფორმები) თავისებურებები". ამასთან ერთად, პროგრამის მიზანია სტუდენტს განუვითაროს "თანამედროვე ჟურნალისტური აზროვნება და საზოგადოებრივი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, გაუფართოოს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის კულტურა, გაუღრმავოს პრობლემების ხედვის/კვლევის და გადაჭრის ეფექტური/ორიგინალური გზების შემუშავების უნარი, გამოუმუშაოს რთულ/არასტანდარტულ გარემოში ადაპტირებისა და ეფექტიანი მოქმედების/კომუნიკაციის შესაძლებლობა".

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ამასთან აღნიშნული მიზნების მიღწევა რეალისტურია. მიზნებში ჩანს,თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები ექნება კურსდამთავრებულს. მიზნებიდან ცხადი ხდება შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა ადგილი და ფუნქცია, სახელდობრ, დაკონკრეტებულია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშავონ "სამაუწყებლო კომპანიებსა და სხვადასხვა საჯარო, კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება მაღალკვალიფიციური ჟურნალისტური კადრები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები მენეჯერულ/საპასუხისმგებლო პოზიციებზე". პროგრამის მიზნების შესაბამისობა სტანდარტებთან (ის, თუ რამდენად მკაფიოდ და რელევანტურადაა მიზნები ჩამოყალიბებული) მტკიცდება გარე ექსპერტის შეფასებითაც.

თავდაპირველად ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულიყო ინფორმაცია განახლებული სამაგისტრო პროგრამის შესახებ, თუმცა უსდ-ს მიერ მოწერილ არგუმენტირებულ პასუხში მითითებული იყო ლინკი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ვებგვერდზე ატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის - მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა - შესახებ.

უნივერსიტეტიის ვებგვერდის შესწავლისას ექსპერტებმა დამატებით აღმოჩინეს, რომ ვებგვერდზე კვლავაც იძებნება მოძველებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამას მიწერილი აქვს, რომ მას გააჩნია საფრანგეთში სწავლის გაგრძელებისა და ორმაგი დიპლომის აღების შესაძლებლობა. იხ ბმული https://www.gruni.edu.ge/menu_content/index/399 (ბოლო ნახვა 2025 წლის 24 თებერვალი)



სწავლის ღირებულება და პროგრამების სპეციფიკა

| სამაგისტრო პროგრამის დასახელება | წლიური სტანდარტული გადასახადი | უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისათვის |
|---|---|---|
| ბიზნესის ადმინისტრირება | 3500 ₾ | 2800 ₾ |
| სამართალი | 4000 ₾ | 3000 ₾ |
| საჯარო მმართველობა (საფრანგეთში სწავლის გაგრძელებისა და ორი დიპლომის შესაძლებლობით) | 3500 ₾ | 3200 ₾ |
| მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა (საფრანგეთში სწავლის გაგრძელებისა და ორი დიპლომის შესაძლებლობით) | 3500 ₾ | 2800 ₾ |
| კლინიკური ფსიქოლოგიის და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამა | 3900 ₾ | 3200 ₾ |

საფრანგეთში სწავლის შესაძლებლობებზეა საუბარი კიდევ ერთ დოკუმენტში, რომელიც ვებგვერდზე იძებნება - https://gruni.edu.ge/uploads/files/migeba/magistratura/jurnalistika.pdf (ბოლო ნახვა 2025 წლის 24 თებერვალი)

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "პროგრამა შეჯერებული იყო პარიზის ჟურნალიზმის უმაღლესი სკოლის პროგრამასთან. პარტნიორული ხელშეკრულების საფუძველზე მიღწეული შეთანხმება გულისხმობდა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ურთიერთაღიარებას და ორმაგი დიპლომის გაცემას. პარტნიორული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2021 წელს და covid-პანდემიის გამო, არ განახლდა. შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, სტუდენტი იღებს მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომს და აკადემიურ ხარისხს, რასაც ითვალისწინებდა პროგრამა" (თვითშეფასების დოკუმენტი, გვ: 9).

მაშასადამე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე დღემდე არსებული მოძველებული ინფორმაცია, რომელიც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებულ პირებს პარიზის ჟურნალიზმის სკოლასთან ერთობლივი დიპლომის მიღების შესაძლებლობის შესახებ ატყობინებს, უნდა აღებულ იქნას უსდ-ს ვებგვერდიდან, რათა არ მოხდეს პროგრამით დაინტერესებული პირების შეცდომაში შეყვანა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარე ექსპერტის შეფასება;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, რომ მოძველებული ინფორმაცია, რომელიც სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებულ პირებს პარიზის ჟურნალიზმის სკოლასთან ერთობლივი დიპლომის მიღების შესაძლებლობის შესახებ ატყობინებს, აღებულ იქნას უსდ-ს ვებგვერდიდან, რათა არ მოხდეს პროგრამით დაინტერესებული პირების შეცდომაში შეყვანა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☐ | ✓ | ☐ | ☐ |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამას აქვს მკაფიოდ გაწერილი სწავლის რვა შედეგი. რვავე შედეგი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, აგრეთვე - პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სტანდარტების შესაბამისად, ბლუმის ზმნების აწმყო დროში გამოყენებით. ამასთან სწავლის შედეგები ფორმულირებულია მკაფიოდ და ისე, რომ მათი მიღწევა, აგრეთვე მიღწევის გაზომვა, რეალისტურია.

სწავლის შედეგებში მთავარი აქცენტი გაკეთებულია კვლევასა და ანალიზზე, რაც სრულიად შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-7 საფეხურის თავისებურებებს, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამებისთვის კვლევა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

თუმცა, ამასთან ერთად, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის აღმწერის მიხედვით გულისხმობს, რომ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი "შეისწავლის ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას საქმე აქვს ტექსტის ფორმულირებასა და ინფორმაციის (ამბის) შინაარსთან".

ექსპერტების აზრით, სასურველი იყო ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნებს დამატებოდა ისეთი საგანი, რომელიც ითვალისწინებს მედიაპროდუქტის შექმნას. “მედიაპროდუქტი” გულისხმობს ამბავს, ანუ შინაარსის მქონე როგორც ჟურნალისტურ პროდუქტს (სტატია, რეპორტაჟი, ფოტო, აუდიო-ვიზუალური, მულტიმედიური), ისე PR პროდუქტს - პრეს-რელიზი, რეკლამა, ე.წ. ქარდი ასევე ნებისმიერი მასალა, რომელიც შექმნილია, როგორც მედიაპროდუქტი და მიზნად ისახავს აუდიტორიაში ინფორმაციის/ამბის (აღმწერის მიხედვით შინაარსის, ანუ კონტენტის) გავრცელებას. აღნიშნული საგნის დამატების შემდეგ  უმჯობესი იქნებოდა, თუკი სწავლის შედეგების “უნარების” ჯგუფს დაემატებოდა სწავლის კიდევ ერთი შედეგი, რომლის თანახმადაც კურსდამთავრებული **ქმნის მედიაპროდუქტს, გადმოსცემს ამბავს და წარმართავს ამბის თხრობის, აგრეთვე ამბის მასობრივ აუდიტორიაზე გავრცელების პროცესს.**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, რომ სწავლის შედეგების “უნარების” ჯგუფს დაემატოს სწავლის კიდევ ერთი შედეგი, რომლის თანახმადაც სამაგისტრო პროგრამის **კურსდამთავრებული ქმნის მედიაპროდუქტს, გადმოსცემს ამბავს და წარმართავს ამბის თხრობის, აგრეთვე ამბის მასობრივ აუდიტორიაზე გავრცელების პროცესს**.  აღნიშნული რჩევის გათვალისწინების შემთხვევაში პროგრამის მესვეურებს მოუწევთ, რომ  სწავლის ძირითადი სფეროს საგნებს დაამატონ ისეთი სავალდებულო საგანი, რომელიც მიზნად ისახავს ამბის თხრობის სწავლებას, მაგალითად საგანი “ამბის თხრობა”, ან “ციფრული თხრობა”;

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ✓ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული და დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, დაწესებულებამ, თვითშეფასების ანგარიშთან ერთად, წარმოადგინა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში.

პროგრამა შეფასდა როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. კერძოდ, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა - კურსდამთავრებულებმა სპეციალური კითხვარის მეშვეობით შეაფასეს სწავლის შედეგის მიღწევის დონე. შეფასებაში მონაწილეობა მიიღო კურსდამთავრებულთა 75%-მა.

პროგრამის სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომელიც მოიცავს სამიზნე ნიშნულს სტუდენტის შეფასებისთვის, ასევე, სტუდენტთა პროცენტულ რაოდენობას სამიზნე ნიშნულის მიღწევისთვის. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის შერჩეულია კონკრეტული შეფასების მეთოდი. თუმცა, შეფასების გრადაცია საკმაოდ მაღალია, მაგალითისთვის, სამიზნე ნიშნული პროფესიული პრაქტიკისთვის გულისხმობს 21-40 ქულას, 50%-ს, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 60%-ად. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისაას, სამიზნე ნიშნულია 51-100 ქულა, ხოლო სამიზნე ნიშნული სტუდენტებისთვის, ვინც უნდა მიიღოს შეფასება - 60%. სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია ასევე ყველაზე დაბალი შეფასებისთვის, მაგალითისთვის, - 0-8 ქულა და 20% პროფესიული პრაქტიკისთვის, ხოლო 0-20 ქულა და 20% სამაგისტრო ნაშრომისთვის.

ვინაიდან სწავლის შეფასების ანალიზმა აჩვენა, რომ სწავლის შედეგების მიღწევამ შეადგინა 100%,( რაც, ცხადია, დადებითი მაჩვენებელია), დაწესებულებამ შესაძლოა იფიქროს სამიზნე ნიშნულების ამაღლებაზე, ან უფრო დეტალურად ჩაშლაზე, რამაც სამომავლოდ შესაძლებელია, უფრო დეტალური ინფორმაცია მისცეს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიღწეული შედეგებისა და გასაუმჯობესებლი მხარეების შესახებ.

პროგრამისთვის შემუშავებულია კურიკულუმის რუკა, რომელიც აღნიშნავს სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირს და სწავლის შედეგის მიღწევის დონეს, თითოეული შედეგი სამ დონეზე ღრმავდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სწავლის შედეგებზე დაკვირვებისა და გაზომვის შედეგად მაღალი მაჩვენებლების გამოვლენის შემდეგ, შესაძლოა უმჯობესი იყოს ამაღლდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ✓ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად; 1 ECTS შეესაბამება 25 ასტრონომიულ საათს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველჰყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას.

როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, ისე პროგრამის სასწავლო გეგმაში (მატრიცაში) წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურის კომპონენტების ჯამი 120 კრედიტია.

რაც შეეხება სასწავლო პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში, თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია ამ მხრივ განხორციელებული რამდენიმე ცვლილება. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამას დაემატა ძირითადი სწავლის სფეროს სავალოდებულო საგნები: „მასობრივი კომუნიკაცია თანამედროვე საზოგადოებაში“, “პროექტების მენეჯმენტი”, “კომუნიკაციის ფსიქოლოგია” (ბოლო ორ საგანს ადრე არჩევითი სტატუსი ჰქონდა). თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის სტრუქტურის შესახებ აღნიშნულია, რომ “დარგობრივი სასწავლო-პრაქტიკული კურსები (სამაუწყებლო მედია; ვებ-ჟურნალისტიკა; ბეჭდური მედია) გადატანილი იქნა თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსის მუდულში, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას პროფილური ორიენტირის მიხედვით აირჩიოს ჟურნალისტური დარგობრივი მიმართულება.” ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საგნები (შესაძლოა სხვა საგნებიც, რომელიც დარგს ეხება) უნდა დაჯგუფდეს სათაურით - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები და მიეთითოს, რა ოდენობის კრედიტები უნდა დააგროვოს ჯამურად სტუდენტმა ამ ჯგუფის საგნებიდან.

ამრიგად, პროგრამის სტრუქტურაში საგნების ჯგუფების სახელები უნდა დაკორექტირდეს სწავლის სფეროზის კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. უნდა არსებობდეს საგანთა შემდეგი ჯგუფები: 1.სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო საგნები 2.სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი საგნები. ასევე, პროგრამას უნდა ჰქონდეს საგანთა ჯგუფი ე.წ. თავისუფალი კომპონენტის სახელწოდებით, რომელშიც შევა როგორც სავალდებულო, ისე - არჩევითი საგნები, უნდა დაკონკრეტდეს თავისუფალი კომპონენტიდან რა ოდენობის სავალდებულო საგნების კრედიტები უნდა დააგროვოს სტუდენტმა და რა ოდენობის - არჩევითი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ✓ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ძირითადი სწავლის სფეროს (წარმოდგენილ პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს საგნების ჯგუფი მოქცეულია მოდულში სახელწოდებით - სავალდებულო კურსების მოდული) სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსების შესწავლის შემდგ ცხადი გახდა, რომ სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან, სილაბუსებში მითითებული კრედიტების მოცულობა ადექვატურია საგნის მიზანთან, სწავლის შედეგებთან და შინაარსთან მიმართებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა, სილაბუსების მიხედვით, ოპტიმალურია.

სილაბუსების შეფასებით ნაწილში მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკური შეფასების სისტემის კომპონენტები, აგრეთვე კომპონენტების ქულობრივი შეფასებები დეტალურადაა ჩაშლილი და განმარტებული. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების

შესაფასებლად სილაბუსებში გამოყენებულია შინაარსისა და სასწავლო კურსის მიზნების სპეციფიკის ამსახველი მეთოდები.

სილაბუსებში მოტანილი სასწავლო ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება დარგის მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ✓ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ✓ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

